ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/205

ქ. თბილისი **28 დეკემბერი 2020 წ.**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა** (ს/კ: 208204959 , იურ. მისამართი: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. 8-1) წარმოდგენილი მისი გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის (შემდგომში ,,შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ **შპს "პირველი"** (ს/კ: 202353185, იურ. მისამართი: ქ. თბილისი, ზაურ ბოლქვაძის 3. ბ-11), წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჭუჭულაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმეტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე“, „კვირა“. „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1. შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს საინფორმაციო მომსახურება, 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რაც მოიცავს:

- ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე www.pia.ge - თვის განმავლობაში არაუმეტეს 10-ჯერ;
- ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე www.digesti.ge - თვის განმავლობაში არაუმეტეს 10-ჯერ;
- ვიდეო გადაღება - თვის განმავლობაში არაუმეტეს 1-ჯერ;

2.2. CPV კოდი 92400000.

3. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. მომსახურების გაწევის ვადა 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2021 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს 4 992 (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოდათორმეტი) ლარს. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 416 (ოთხას თექვსმეტი) ლარს, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

4.2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

4.3. მომსახურების შესრულებისა და დამკვეთის მიერ მისი მიღების ფაქტი დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

5.1.1. მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
5.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არასრულად ან უხარისხოდ გაუწევს შემსყიდველს მომსახურებას, ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არასაპატიო მიზეზით არ გამოასწორებს ხარვეზსს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებელთან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე 1 (ერთი) თვით ადრე.
5.1.3. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და მოითხოვოს შესაბამისი წერილობითი ანგარიში.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და პირობებით მიმწოდებელს გადაუხადოს მომსახურების საფასური.
5.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს, ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ყველა სახის საჭირო ინფორმაციის დროული მიწოდება.

5.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

5.3.1. შემსყიდველს მოსთხოვოს გაწეული სამუშაოების მომსახურების ღირებულების, ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ვადაში გადახდა.

5.4. **შემსრულებელი ვალდებულია:**

5.4.1. მაღალკვალიფიციურ და დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით შეასრულოს სამუშაოები.
5.4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული მედია სფეროში მოქმედი წესების შესაბამისად.
5.4.3 სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.4.4 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს მიაწოდოს ყველა სახის ინფორმაცია სამუშაოების ჩატარების პროცესში.
5.4.5 არ გაახმაუროს მეორე მხარის კომერციული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

6. განსაკუთრებული პირობები

6.1. ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება შემსყიდველს სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება). მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველის მიერ მომსახურების სრულად მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე, გულისხობს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შეწყვეტას შესრულებით.
6.2. მომსახურება ჩაითვლება შესრულებულად იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, შემსყდველი სრულად არ ამოწურავს შეძენილი მომსახურების რაოდენობას.

7. პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი.

7.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, დადგენილი ფორმატის შესაბამისად, დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არასრულად ან უხარისხოდ განათავსებს შემსყიდველის მიერ მიწოდებულ საინფორმაციო მასალას, იგი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი და განმეორებით განათავსოს მედია პროდუქტი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი, არასაპატიო მიზეზით, არ განათავსებს შემსყიდველის მიერ მიწოდებულ საინფორმაციო მასალას, შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ვალდებულების ღირებულების 0,05% (ნული მთელი ხუთი მეასედი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის დაგვიანების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის გადასახდელი თანხის 0,05% (ნული მთელი ხუთი მეასედი) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4. პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.5. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, რისთვისაც შემსყიდველს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ზემოაღნიშნული ზიანი/ზარალი, მოთხოვნიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა დამატებითი, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცალმხრივად შეტანილი ცვლილება ან დამატება ბათილია შეტანის მომენტიდან.

8.2. ყველა დამატება, ცვლილება ან შეთანხმება, რომელიც მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქნება დადებული, წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ფორს- მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.

9.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარიდასხვა), ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზეც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.

9.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

9.4. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორსმაჟორის) დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

9.5. თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ კვირაზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება მიმწოდებელს შემსყიდველისგან ანიჭებს, ხელშეკრულების 2.1 პუნქტში გათვალისიწინებული ფუნქციების განხორციელების უფლებას.

10.2. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული – მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი

"ისნის რაიონის გამგეობა"
ს/კ: 208204959
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22

შემსრულებელი

შპს "პირველი"
ს/კ: 202353185
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა **GE14 TB72 7563 6020 1000 01**

გამგებელი :
კახაბერი ლაბუჩიძე

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2020.12.28 14:03:16 +04'00'

დირექტორი :
ანა ჭუჭულაშვილი

LLC Pirveli
Digitally signed by LLC Pirveli
Date: 2020.12.28 13:58:51 +04'00'